წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2018 წლის 18 იანვარი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ. ვ“ ქვეპუნქტისა და „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 24-ე და 25-ე მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს და დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგები, თანამდებობრივი სარგო და საშტატო ნუსხა დანართი №1 და დანართი №2-ის შესაბამისად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილება №4 - ვებგვერდი,02.03.2021წ.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის №15 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **თემურ ღვინჯილია**

დანართი №1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილება №4 - ვებგვერდი,02.03.2021წ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 04.02.2022წ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგები და თანამდებობრივი სარგო

N რიგზე	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	3000
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	2150
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2000

4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1485
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1485
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1320
7	პირველი რანგი-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის უფროსი	1650
8	მეორე რანგი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი	1540
9	მეორე რანგი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1320
10	მეორე რანგი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის სამდივნპს უფროსი	1320
11	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1100
12	მესამე რანგი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	990
13	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	990

დანართი №2

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილება №4 - ვებგვერდი,02.03.2021წ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
1	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-საკრებულოს აპარატის უფროსი	1
	მეორადი სტრუქტურული ერთეული-აპარატის იურიდიული განყოფილება	
2	იურიდიული განყოფილების უფროსი	1
3	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
4	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
	მეორადი სტრუქტურული ერთეული-აპარატის საორგანიზაციო განყოფილება	
5	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1
6	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
7	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
8	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
	მეორადი სტრუქტურული ერთეული-აპარატის სამდივნო	
9	აპარატის სამდივნოს უფროსი	1
10	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
11	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

12	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

.